შ.პ.ს "პ ა ლ ი ა ს ტ ო მ ი - 2004"
ვ. კრატასიუკის 15, 4400 ფოთი, საქართველო
e-mail: paliastomi2004@gmail.com
ტელეფონი: + 995 593 468609

ID: 215103509

"P A L I A S T O M I - 2004" LTD
15, Kratasiuki str. 4400 POTI, GEORGIA
e-mail: paliastomi2004@gmail.com
Tel: +995 593 468609

#44/22
10.08.2022

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს
უფროსს ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „პალიასტომო-2004" ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავს, თევზის გადამამუშავებელი საწარმოს (საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელებას.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, შავი ზღვის ქაფშიისაგან ზეთის და ფქვილის წარმოება. პროექტის მიხედვით, საწარმოს წლიური წარმადობა შეადგენს 50 000 ტონა თევზის გადამუშავება წელიწადში.

პროექტს გავლილი აქვს სკოპინგის პროცედურა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 8 სექტემბრის N2-1218 ბრძანებით გაცემულია სკოპინგის დასკვნა N40 (30.07.2021 წ.).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ყულევის მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი თევზის გადამამუშავებელი საწარმოს (საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

წერილს თან ერთვის:

- თევზის გადამამუშავებელი საწარმოს (საკვები პროდუქტების მწარმოებელი მულტიფუნქციური კომპლექსის) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში -ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის არატექნიკური რეზიუმე - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 3 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიტუაციური სქემა - 3 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (სანებართვო მოსაკრებლის მიმღები სახაზინო კოდი: 300773080);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „პალიასტომო-2004"-ის რეგისტრაციის შესახებ;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია და საწარმოს განთავსების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები GIS სისტემაში CD დისკზე.

პატივისცემით,

შპს „პალიასტომი 2004"-ის

დირექტორი

პაატა ჟღენტი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
10 08 2022 წ.
№ 3947